სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატობის პრეტენდენტის შოთა ჭანტურიძის კონცეფცია და სამოქმედო გეგმა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზანია რეგიონში ლიდერ კვლევით უნივერსიტეტად და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის ღირსეული და წარმატებული სუბიექტის ადგილის დამკვიდრება.

აღნიშნული მიზნის მიღწევა მრავალი პრობლემის დაძლევასთან არის დაკავშირებული. მათ შორის, ერთ-ერთი უმთავრესია კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესების ინტეგრაციის საკითხი. რადგანაც საგანმანათლებლო სისტემისათვის მნიშვნელოვანია მოქნილი და გამართული სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა. შესაბამისად საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური და ადმინისტრაციული საქმიანობის (საუნივერსიტეტო სტრუქტურების) ეფექტიანი ადმინისტრირების უზრუნველყოფა. უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია მისი ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების წარმატებით მართვა, რომელიც ორიენტირებული იქნება საუნივერსიტეტო განვითარებაზე. დღეისათვის უნივერსიტეტში სწავლების სამივე საფეხურზე განათლებას იღებს 22,0 ათასამდე სტუდენტი. უნივერსიტეტში მოქმედ 7 ფაკულტეტზე, სამეცნიერო-კვლევითებსა და 40-მდე სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში სამეცნიერო-პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ საქმიანობას ეწევა 5,5 ათასზე მეტი აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ეფექტური მენეჯმენტის განხორციელება მოითხოვს არსებული რესურსების პირობებში პროცესების ოპტიმალურ ადმინისტრირებას.

ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში არსებული მდგომარეობა

არსებული საბიუჯეტო პარამეტრები და მათი ფორმირება

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016 წლისთვის დაგეგმილი ფინანსური რესურსები წარმოდგენილია 90,1 მლნ. ლარით, საიდანაც 19,4 მლნ. ლარი (21,5%) წარმოადგენს 2015 წლის გარდამავალ ნაშთს, ხოლო 70,7 მლნ. ლარი (78,5%) კი 2016 წლის საპროგნოზო შემოსავლებს. უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირების ძირითად წყაროებს წარმოადგენს:

- შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან (სწავლის ქირა, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან) 48,3 მლნ. ლარი - 68,3%;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დაფინანსება, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი) 11,6 მლნ. ლარი - 16,5%;
- სახელმწიფო სტიპენდიები 1,1 მლნ. ლარი - 1,5%;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან–საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და მოდულური პროგრამების განსახორციელებლად 3,1 მლნ. ლარი - 4,3%;
- ეროვნული და საერთაშორისო გრანტები - 6,6 მლნ. ლარი - 9,4%.

ბიუჯეტის დაგეგმვის და მისი შემდგომი ხარჯვითი პროცესის ეფექტიანობა უნივერსიტეტის პრიორიტეტული მიზნების განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. აგრეთვე, მნიშვნელოვანია ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობა და პასუხისმგებლობის აღება უნივერსიტეტის საბიუჯეტო სახსრების განაწილებაზე და შემდგომ მისი ხარჯვითი ნაწილის გამჭვირვალობასა და კონტროლზე.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ადმინისტრაციული რესურსები

უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს 26 ძირითად შენობა-ნაგებობებსა და სხვა მოძრავ ქონებას. საიდანაც 13 სასწავლო კორპუსია, 2 ბიბლიოთეკა, 2 სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, 9 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობა-ნაგებობა, რომელთა საერთო ფართი შეადგენს 238,5 ათას კვ.მ-ს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებული მდგომარეობა რიგ შემთხვევებში ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებს.

2013 წელთან შედარებით, 2015 წლის დეკემბრის მონაცემებით უნივერსიტეტში მომუშავე აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რიცხოვნობა გაზრდილია 488 ერთეულით, საიდანაც 325 ერთეულს წარმოადგენს მხოლოდ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი (ფაკულტეტების ჩათვლით), ხოლო 163 ერთეულს კი აკადემიური და მოწვეული პერსონალი. შესაბამისად, მათზე გაწეული შრომის ანაზღაურების ხარჯი გაზრდილია დაახლოებით 3,0 მლნ. ლარით. აღნიშნულის გარდა, სხვა ადმინისტრაციული ხარჯები მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 20 %-ს

შეადგენს (შესყიდვები, კომუნალური, დაზღვევა, ქონების გადასახადი და სხვა გადასახადები). შესაბამისად, მნიშვნელოვანია სტრუქტურული ერთეულების მაქსიმალური ჩართულობა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში და პასუხისმგებლობა საბიუჯეტო სახსრების მართვის კონტროლზე. ხსენებული დანახარჯების ეტაპობრივი ოპტიმიზაციით გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსები შესაძლებელი იქნება გადანაწილდეს სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებების დასაფინანსებლად.

ადმინისტრაციული რესურსების მართვის სამოქმედო გეგმა

ადმინისტრაციის საქმიანობის პროცესში არსებული ნაკლოვანებების იდენტიფიცირება და მათი ეტაპობრივი აღმოფხვრა, აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი პროცესების სტიმულირება უნივერსიტეტს შეუქმნის შემდგომი განვითარების საფუძვლებს. შესაბამისად, განსახორციელებელი იქნება შემდეგი ღონისძიებები:

- ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების სპეციფიკის გათვალისწინებით საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა/შემუშავება და მათი ასახვა შესაბამის დებულებებში;
- ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების პერსონალისათვის, უწყვეტი განათლების ცენტრის მეშვეობით, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სატრენინგო სერვისების შეთავაზება და შემდგომი ოპტიმიზაცია კვალიფიკაციის დონის მიხედვით;
- უწყვეტი განათლების ცენტრის საქმიანობის აქტიური რეკლამირებით, ადგილობრივი აკადემიური პერსონალის და უცხოელი ტრენერების ჩართულობის პოპულარიზებით დამატებითი ფინანსური შემოსავლების მობილიზება;
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მაქსიმალური გამოყენებით დამატებითი ფინანსური რესურსის მოზიდვის მიზნით, რეგიონებში აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრების ორგანიზება;
- უნივერსიტეტის საგამომცემლო-ბეჭდვითი საქმიანობის პროცესების სისტემატიზაცია, ოპტიმიზაცია და მისი კომერციალიზაცია;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების საქმიანობის კომერციალიზაციის ხელშეწყობა/მხარდაჭერა;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაცია/კოორდინაციით სამინისტროში არსებული

სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვის პროგრამის ფარგლებში რესურსის მოძიება, რათა უნივერსიტეტისთვის გათვალისწინებული იქნას სამედიცინო აპარატურის გადმოცემა. შესაბამისად, შესაძლებელი გახდება უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის პრაქტიკული მეცადინეობების განხორციელება, დასაქმება და დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა;

- უნივერსიტეტში თანამედროვე ელექტრონული პროგრამებისა და სისტემების დანერგვა;
- ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაციით (სამივლინებო, წარმომადგენლობითი და სხვა ხარჯები) სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების დაფინანსება;
- მოძველებული ავტოპარკის ეტაპობრივი განახლება, რაც მოგვცემს გრძელვადიან პერიოდში სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობაზე გასაწევი ხარჯების ეკონომიას;
- სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლების საფასურიდან გარკვეული ფიქსირებული პროცენტული ზღვარის დაწესება სტუდენტური აქტივობების დასაფინანსებლად და წარჩინებული სტუდენტების ფინანსური სტიმულირებისათვის (სტიპენდიები, გაცვლითი პროგრამები და ა.შ.). შესაბამისად, მათი ხარჯვის სრული გამჭირვალეობა;
- საკანონმდებლო ინიციატივა უნივერსიტეტის მიერ სტუდენტების დაფინანსებისას საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ, რის შედეგადაც ყოველწლიურად დაიზოგება დაახლოებით 200,0 ათასი ლარი;
- აკადემიური პერსონალის საგრანტო პროექტების მხარდაჭერა;
- დამატებით მოზიდული ფინანსური რესურსებისა და ხარჯების ოპტიმიზაციით (შიდა და გარე დაფინანსების წყაროების მოძიება) არსებული აუდიტორიების, ლაბორატორიების, კვლევითი ინსტიტუტების ინფრასტრუქტურისა და მათი მატერიალური ბაზის ეტაპობრივი განახლება. სტუდქალაქის კორპუსებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და მათი გაფართოების პერსპექტივის განხილვა/განხორციელება;
- სტუდენტების მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო თანხების მიზანშეწონილობის განსაზღვრის, კონტროლის და ხარჯვის გამჭირვალეობის უზრუნველყოფა;
- ინფორმაციის საჯაროობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფა.

ადმინისტრაციული რესურსების მართვის სამოქმედო გეგმით განხორციელების პერიოდები

N	ღონისძიებების დასახელება	1 წელი	2 წელი	3 წელი	4 წელი
1	ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების სპეციფიკის გათვალისწინებით საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა/შემუშავება და მათი ასახვა შესაბამის დებულებებში;				
2	ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეულების პერსონალისათვის, უწყვეტი განათლების ცენტრის მეშვეობით, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სატრეინინგო სერვისების შეთავაზება და შემდგომი ოპტიმიზაცია კვალიფიკაციის დონის მიხედვით;				
3	უწყვეტი განათლების ცენტრის საქმიანობის აქტიური რეკლამირებით, ადგილობრივი აკადემიური პერსონალის და უცხოელი ტრენერების ჩართულობის პოპულარიზებით მეტი ფინანსური შემოსავლების მობილიზება;				
4	რეგიონებში აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრების ორგანიზება, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მაქსიმალური გამოყენებით დამატებითი ფინანსური რესურსის მოზიდვა;				
5	უნივერსიტეტის საგამომცემლო-ბეჭდვითი საქმიანობის პროცესების სისტემატიზაცია, ოპტიმიზაცია და მისი კომერციალიზაცია;				
6	უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების საქმიანობის				

	კომერციალიზაციის ხელშეწყობა/მხარდაჭერა;				
7	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაცია/კოორდინაციით სამინისტროში არსებული სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვის პროგრამის ფარგლებში რესურსის მოძიება, რათა უნივერსიტეტისთვის გათვალისწინებული იქნას სამედიცინო აპარატურის გადმოცემა. შესაბამისად, შესაძლებელი გახდება უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის პრაქტიკული მეცადინეობების განხორციელება, დასაქმება და დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა;				
8	უნივერსიტეტში თანამედროვე ელექტრონული პროგრამებისა და სისტემების დანერგვა;				
9	ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაცია (სამივლინებო, წარმომადგენლობითი და სხვა ხარჯები);				
10	მოძველებული ავტოპარკის ეტაპობრივი განახლება, რაც მოგვცემს გრძელვადიან პერიოდში სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობაზე გასაწევი ხარჯების ეკონომიას;				
11	სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლების საფასურიდან გარკვეული ფიქსირებული პროცენტული ზღვარის დაწესება სტუდენტური აქტივობების დასაფინანსებლად და წარჩინებული სტუდენტების ფინანსური სტიმულირებისათვის (სტიპენდიები, გაცვლითი პროგრამები და ა.შ.).				

	შესაბამისად მათი ხარჯვის სრული გამჭირვალეობა;				
12	საკანონმდებლო ინიციატივა უნივერსიტეტის მიერ სტუდენტების დაფინანსებისას საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ;				
13	აკადემიური პერსონალის საგრანტო პროექტების მხარდაჭერა;				
14	დამატებით მოზიდული ფინანსური რესურსებით და ხარჯების ოპტიმიზაციით (შიდა და გარე დაფინანსების წყაროების მოძიება) არსებული აუდიტორიების, ლაბორატორიების, კვლევითი ინსტიტუტების ინფრასტრუქტურისა და მათი მატერიალური ბაზის ეტაპობრივი განახლება. სტუდქალაქის კორპუსებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და მათი გაფართოების პერსპექტივის განხილვა/განხორციელება;				
15	სტუდენტების მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო თანხების მიზანშეწონილობის განსაზღვრის, კონტროლის და ხარჯვის გამჭირვალობის უზრუნველყოფა;				
16	ინფორმაციის საჯაროობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფა.				